

მაია შაშვიაშვილი - განათლების მეცნიერებების დოქტორი, მოწვეული პედაგოგი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მანანა მელიქიშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის უნივერსალური დიზაინი - UDL და ინტერვენციაზე პასუხის მოდელი - RTI დისლექსიის მქონე მოსწავლეებისათვის

დისლექსიას შეუძლია მნიშვნელოვნად განსაზღვროს მოსწავლის აკადემიური განვითარება და შემდგომში მისი, როგორც ინდივიდისა და მოქალაქის ცხოვრების ხარისხი. ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია განათლების სისტემაში დაინერგოს საგანმანათლებლო ჩარჩოები - სწავლის უნივერსალური დიზაინი (UDL) და ინტერვენციაზე პასუხის მოდელი (RTI) და დისლექსიის მქონე მოსწავლემ როგორც კლასში, ასევე მცირე ჯგუფებსა თუ ინდივიდუალურად, მიიღოს მასზე ორიენტირებული, მორგებული სასწავლო პროცესი.

კვლევის მიზანია დისლექსიის მქონე მოსწავლეებისთვის, მათი დასწავლის სირთულეების გადასაჭრელად, ეფექტური საგანმანათლებლო გარემოსა და სასწავლო პროცესის ანალიზი. ამ საკითხის ირგვლივ მეორადი ინფორმაციის დამუშავებამ საშუალება მოგვცა გავცნობოდით საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებებსა და საგანმანათლებლო ჩარჩოების შესახებ კვლევებს. აღნიშნული კვლევების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ სწავლის უნივერსალური დიზაინის (UDL) და ინტერვენციაზე პასუხის მოდელის (RTI) ინტეგრაცია არის ყველაზე უფრო ეფექტური გზა დისლექსიის მქონე მოსწავლეებისთვის ინკლუზიური და პასუხისმგებლიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ეს ინტეგრაცია ხელს უწყობს ხელმისაწვდომობას, პერსონალიზაციას, მიზანმიმართულ ინტერვენციას, ჩართულობას, თანამშრომლობას და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, რაც საბოლოოდ იწვევს უკეთეს აკადემიურ შედეგებს და ზრდის მოსწავლის წარმატების შანსს. ამასთანავე, აძლიერებს თანამშრომლობას პედაგოგებს, სპეციალისტებსა და მშობლებს შორის, რაც თავის მხრივ, კითხვის სირთულის გადასაჭრელად ყოვლისმომცველ მიდგომას უზრუნველყოფს.

ინტერვენციაზე პასუხის მოდელის სამივე დონე - 1. მაღალი ხარისხის ინსტრუქცია და მხარდაჭერა ყველა მოსწავლისთვის; 2. დამატებითი ინტერვენციები და მხარდაჭერა მცირე ჯგუფებში/ ინდივიდუალურად; 3. ინტენსიურ ინტერვენციები, ინდივიდუალური, სპეციალიზებული ინსტრუქცია, ყოვლისმომცველი შეფასება - საშუალებას იძლევა გააუმჯობესოს საგანმანათლებლო შედეგები არა მხოლოდ დისლექსიის მქონე, არამედ ყველა მოსწავლისათვის (T. N. Odegard., J. Cooper., M. Hirschmann., E. Alexander, 2017).

უნივერსალური დიზაინის სამი ძირითადი პრინციპი - ინფორმაციის მიწოდების, გამოხატვისა და ჩართულობის მრავალფეროვანი საშუალება - ქმნის პირობებს, რომ დისლექსიის მქონე მოსწავლეებმა საკუთარი შესაძლებლობები კითხვისა და წერის დეფიციტური უნარებით გამოწვეული შეზღუდვის გარეშე წარმოაჩინონ (G. Rappolt-Schlichtmann, 2018).

დისლექსიის მქონე მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით ღირებულია უნივერსალური დიზაინის სამი პრინციპის ინტეგრირება ინტერვენციაზე პასუხის მოდელის სამივე დონეზე. ეს საკითხი შესწავლილია რამდენიმე კვლევის ფარგლებში და ადასტურებენ, რომ ორივე მოდელის ერთობლივი დანერგვას შეუფერხებელი მხარდაჭერის დიდი პოტენციალი აქვს (J.D.Basham, 2010).

სწავლის უნივერსალური დიზაინის და ინტერვენციაზე პასუხის მოდელის დანერგვას განათლების სისტემაში შეიძლება ახლდეს რამდენიმე გამოწვევა: მათი ღრმად გააზრების აუცილებლობა, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ვალდებულება და მასწავლებლების მუდმივი მხარდაჭერა. მათი დანერგვა ხშირად მოითხოვს ტექნოლოგიური ინსტრუმენტების, სასწავლო მასალებისა და სპეციალიზებული პერსონალის არსებობას. ამ გამოწვევებთან გამკლავება დისლექსიის მქონე მოსწავლეების ხელშეწყობისათვის გადამწყვეტია მასწავლებლებისა და განათლების პოლიტიკის მესვეურების მხრიდან.

საკვანძო სიტყვები: დისლექსია, ეფექტური სასწავლო პროცესი, სწავლის უნივერსალური დიზაინი, ინტერვენციაზე პასუხის მოდელი.

Maya Shashviashvili - Doctor of Educational Sciences, Teacher, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakishvili Tbilisi State University

Manana Melikishvili - Doctor of Psychology, Associate Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakishvili Tbilisi State University

Universal Design for Learning - UDL and Response to Intervention Model - RTI for students with dyslexia

Dyslexia can significantly determine the academic development of a student and, subsequently, the quality of their life. It is essential in the education system to implement an educational framework- Universal Design for Learning (UDL) and Response to Intervention (RTI) program in school. A student with dyslexia should receive targeted, individual support in the classroom, small groups, individually.

The study aims to research an effective educational environment for students with dyslexia to solve their learning difficulties. The analysis of secondary information allowed us to get acquainted with the experience of international organizations and studies on educational frameworks. The main results of our study is that integration of UDL and RTI models is the most effective way to create an inclusive and responsive learning environment for students with dyslexia. This integration promotes accessibility, engagement, collaboration, and data-driven decision-making, leads to better academic outcomes and increases students chances of success; it also promotes collaboration of educators, specialists and parents, ensuring a comprehensive approach to solving reading difficulties.

Three levels of RTI - high-quality instruction and support for all students; additional interventions and support; intensive interventions and comprehensive assessment – can improve learning outcomes for students with dyslexia or other disabilities (T. N. Odegard., J. Cooper., M. Hirschmann., E. Alexander, 2017). Three main principles of UDL provide conditions for students with dyslexia to demonstrate their abilities without the limitations caused by their reading and writing difficulties (G. Rappolt-Schlichtmann, 2018). For the teaching students with dyslexia it is important to integrate the three principles of UDL into all three levels of RTI. Several studies confirm that the integration of both models is the best way to support students with dyslexia (J.D.Basham, 2010).

Implementing UDL and RTI models in the educational system can be challenging. It requires a deep understanding of the models, creating an inclusive learning environment, and ongoing support for teachers. Also, it often requires technological tools, training materials, and specialized personnel. Accepting these challenges is crucial for teachers and education policymakers to support students with dyslexia.

Keywords: Dyslexia, Effective Learning, Universal Design for Learning (UDL), Response to Intervention (RTI).